

(სსმ III, 12.03.2010 N 27 მუხ. 409)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
010.320.040.22.024.014.339

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის
ბრძანება N 1-1/320
2010 წლის 12 მარტი ქ. თბილისი**

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში
სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის N 77 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 2 ივნისის N კ-1/243 ბრძანება „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების შესახებ“.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზ. პოლოლიკაშვილი

**საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის
წესი**

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ცენტრალურ აპარატში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოებსა და სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებში (შემდგომში – სამინისტრო) სტაჟირების გავლის წესს.

მუხლი 2

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით, სამინისტრო უქმნის ახალგაზრდა სპეციალისტებს დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.

მუხლი 3

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კანდიდატი – პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად სამინისტროში შემოტანილი აქვს განცხადება სტაჟირების გავლის შესახებ;

ბ) სტაჟიორი – პირი, რომელიც ამ წესის შესაბამისად სამინისტროში ეწევა არაანაზღაურებად საქმიანობას;

მუხლი 4

სტაჟიორად მიიღება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და აკადემიური უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე.

მუხლი 5

სამინისტროში სტაჟიორთა რაოდენობა სტრუქტურულ ქვედანაყოფში, როგორც წესი, არ აღემატება ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფის შტატიტ გათვალისწინებულ მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 1/3-ს.

მუხლი 6

1. სტაჟირების ვადა განისაზღვრება 6 თვემდე ვადით.

2. მინისტრის ბრძანებით სტაჟირების ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 6 თვით.

თავი II. კონკურსი

მუხლი 7

1. სამინისტროში სტაჟიორთა მიღება წარმოებს კონკურსის წესით, რომელიც ტარდება გასაუბრების ფორმით.

2. კონკურსის გამოცხადება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით.

3. კონკურსის ჩატარების შესახებ ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) კონკურსის ჩატარების ფორმას;

ბ) ინფორმაციას კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების რეგისტრაციის ადგილისა და დროის შესახებ;

გ) ინფორმაციის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო კრიტერიუმებისა და დოკუმენტაციის თაობაზე.

4. კონკურსი უნდა ჩატარდეს მისი გამოცხადებიდან არა უადრეს ორი კვირისა.

მუხლი 8

1. სტაჟიორთა კონკურსის ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და სტაჟიორთა შერჩევის მიზნით იქმნება სტაჟირების საკონკურსო კომისია (შემდგომში – კომისია), რომლის შემადგელობას განსაზღვრავს მინისტრი.

2. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და წევრებისაგან.

3. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს თავმჯდომარის მოადგილე.

4. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, წევრები და მდივანი.

6. სამინისტროში სტაჟირების გავლის მსურველი პირი – კანდიდატი კომისიას წარუდგენს შემდეგ საბუთებს:

- ა) განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
- ბ) განაცხადი სტაჟირების გავლის შესახებ (დანართი N 1);
- გ) ავტობიოგრაფია ან Curriculum Vitae (CV);
- დ) დიპლომის ასლი/ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
- ე) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ვ) ერთი ფოტოსურათი (3X4);
- ზ) რეკომენდაცია/შუამდგომლობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 9

1. კონკურსის ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია გამოიკვერება სამინისტროს შენობაში სპეციალურად გამოყოფილ თვალსაჩინო ადგილას.

2. კონკურსი ითვლება ჩაშლილად, თუ მასში მონაწილეობის მისაღებად არ იქნა წარდგენილი არც ერთი განცხადება ან კანდიდატთაგან ვერც ერთმა ვერ დააკმაყოფილა კონკურსის მოთხოვნები.

მუხლი 10

ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით, სტაჟირების კანდიდატებიდან საუკეთესო შედეგების მქონე პირებს, კომისიის წარდგინებით, მინისტრი ნიშნავს სტაჟირებად.

მუხლი 11

სტაჟირებისათვის დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი პერსონალის მართვის სამმართველოს წარუდგენს მის მიერ ხელმოწერილ სტაჟირის პირადი მოსწრების დღიურს, რის საფუძველზეც პერსონალის მართვის სამმართველო გასცემს სტაჟირების გავლის დამადასტურებელ მოწმობას (დანართი N 2).

თავი III. სტაჟირის უფლებები

მუხლი 12

1. სტაჟირის უფლება აქვს:

ა) სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის თანხმობით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას (საარქივო მასალებს), ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ბიბლიოთეკით, ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) უშუალო ხელმძღვანელის თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

გ) სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მითითებით გაეცნოს სამინისტროს მუშაობის სპეციფიკას, იმ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომელიც მოცემულ სფეროს მიეკუთვნება.

2. სტაჟიორი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მითითებითა და პასუხისმგებელი მოხელის მეთვალყურეობით ასრულებს კონკრეტულ, ცალკეულ დავალებებს, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს სამინისტროს საქმიანობის საკითხებს.

თავი IV. სტაჟიორის მოვალეობები

მუხლი 13

1. სტაჟიორი მოვალეა:

ა) გაეცნოს და იხელმძღვანელოს სამინისტროს საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით;

ბ) დადგენილ ვადებში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრება სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ, სადაც იგი გადის სტაჟირებას;

2. სტაჟიორი ვალდებულია სტაჟირების პერიოდში აწარმოოს პირადი მოსწრების დღიური და მასში ასახოს ჩატარებული სამუშაოები თემატიკის ჩვენებით.

თავი V. სამინისტროს მოვალეობები

მუხლი 14

სამინისტროს სტაჟიორს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

მუხლი 15

სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ვალდებულია სტაჟიორს განუსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადა, მიაწოდოს აღნიშნულთან დაკავშირებით დროული და სწორი ინფორმაცია. აკონტროლოს მათი შესრულება და პირადი მოსწრების დღიურის წარმოება.

თავი VI. სტაჟირების გავლის სხვა პირობები

მუხლი 16

1. სტაჟირების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) სტაჟირების პერიოდში არასაკმატო მიზეზით 5 დღის განმავლობაში შესაბამის დანაყოფში გამოუცხადებლობა;

ბ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

გ) პირადი განცხადება;

დ) ამ წესის მე-17 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა;

ე) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა.

2. სტაჟირების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მინისტრი შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

3. გადაწყვეტილება სტაჟირების შეწყვეტის შესახებ ფორმდება მინისტრის ბრძანებით.

მუხლი 17

იმ შემთხვევაში, თუ სტაჟიორი კანონმდებლობის შესაბამისად დაინიშნა სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობაზე, მას სტაჟირება ჩაეთვლება გავლილად და ეძლევა შესაბამისი მოწმობა.

მუხლი 18

სტაჟიორს, რომელსაც სტაჟირების ვადა შეუწყდა მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სამინისტროს სისტემაში მეორედ სტაჟირებაზე არ დაიშვება.

მუხლი 19

სტაჟირებას კოორდინაციას უწევს სამინისტროს ადმინისტრაციის პერსონალის მართვის სამმართველო, რომელიც ვალდებულია სტაჟირების საკითხებზე 6 თვეში ერთხელ მიაწოდოს ინფორმაცია მინისტრს.

დანართი 1

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო განაცხადი სტაჟირებაზე

1. სახელი, გვარი -----
2. დაბადების ადგილი, თარიღი-----
3. მოქალაქეობა-----
4. პირადობის მოწმობის ნომერი-----
5. ოჯახური მდგომარეობა-----
6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი:

7. განათლება (როდის რომელი სასწავლებელი დაამთავრეთ)

როდიდან	როდემდე	სასწავლებელი	ფაკულტეტი

8 ამჟამად სწავლობთ თუ არა, მიუთითეთ სად?

9. სპეციალობა, კვალიფიკაცია (დიპლომის მიხედვით) და დიპლომის N

სპეციალობა	კვალიფიკაცია	დიპლომის N

10. რომელ უცხო ენებს ფლობთ, ცოდნის დონე:

შეაფასეთ ენის ცოდნის დონე შემდეგი ტერმინებით: სუსტად, საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად.

ენა	კითხვა	მეტყველება	წერა

11. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

12. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფში გასურთ სტაჟირების გავლა. მიუთითეთ სამი სტრუქტურული ქვედანაყოფი პრიორიტეტების მიხედვით.

13. თქვენი ინტერესთა სფეროები:

14. რა სახის გრანტები და სტიპენდიები გაქვთ მოპოვებული წარსულში:

როდის	ორგანიზაცია – დაწესებულება	თანხის ოდენობა

15. შრომითი საქმიანობა

როდიდან როდემდე , უწყება, ორგანიზაცია, თანამდებობა, მისამართი უწყება-ორგანიზაციისა, სადაც მუშაობდით

16. ხართ თუ არა საზღვარგარეთ ნამყოფი კვალიფიკაციის ამაღლების ან სხვა პროფესიული მიზნით: სად, როდის?

17. სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება და სამხედრო წოდება: როდის გაქვთ მინიჭებული და რომელი ორგანო-დაწესებულებისაგან

18. შენიშვნები

შევსების თარიღი _____

პირადი ხელმოწერა _____

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

სტაჟირების გავლის დამადასტურებელი
მ ო წ მ ო ბ ა

გადაეცა

(სახელი, გვარი)

მასზე, რომ მან 20 წლის „ „ _____ დან 20 წლის „ „ _____ მდე

გაიარა სტაჟირება

(სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი)

თარიღი „ „ _____ 20 წ.

უფლებამოსილი თანამდებობის პირების ხელმოწერა

მოწმობა გაიცა „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სისტემაში
სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების
მინისტრის 2010 წლის N _____ ბრძანების შესაბამისად